

**საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის
მოსაზრებები აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილ "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი
დარეგულირების გეგმასთან - "მომავლის გასაღებთან" დაკავშირებით**

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია გაცნობს აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილ გეგმას, რომლის დეკლარირებული მიზანია "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის" საბოლოო, პოლიტიკური, სრულმასშტაბიანი მოწესრიგება", ხოლო საფუძველი - "მხარეთა მიერ კეთილი ნების გამოვლენა და ნდობის აღდგენის ღონისძიებათა გატარება, რაც გახდება წარმატებისა და მომავალი სტაბილური მშვიდობის გასაღები".

მხარეთა შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებათა გატარება, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგება უთუოდ შედის ქართული მხარის ინტერესებში, რაც არაერთხელ იქნა მის მიერ დეკლარირებული სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივებში.

ამასთან ერთად, სამწუხაროდ, კომისიის აზრით, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილი ე.წ. სამშვიდობო გეგმა როგორც თავისი შინაარსით, ასევე პათოსით, ისტორიული ფაქტების მანიპულირებით, შეფასებებით არაკონსტრუქციულია და არამართო აგრძელებს არძინაბადროინდელი დანაშაულებრივი რეჟიმის მიერ ჩამოყალიბებულ და ისტორიული ფაქტების უხეშ ფალსიფიკაციაზე აგებულ იდეოლოგიას, არამედ, რიგ შემთხვევაში, კიდევ უფრო ავითარებს მას.

აღნიშნული დოკუმენტი აბსოლუტურად მიუღებელია და სამშვიდობო პროცესის ჩარჩოებში ის არც შეიძლება გახდეს რამდენადმე სერიოზული განხილვის საგანი, ვინაიდან მასში ჩამოყალიბებული დებულებები კატეგორიულად მიუღებელია ქართული საზოგადოებისათვის და ამავდროულად დარწმუნებულნი ვართ, რომეინააღმდეგება თვით აფხაზი ხალხის ინტერესებსაც. ეს დოკუმენტი ძირითადად ემსახურება კავკასიაში რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესების დაცვას. მისი მიზანია ხელი შეუშალოს საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ სტრუქტურებში და დააბრუნოს ის კვლავ რუსეთის იმპერიის ორბიტაში.

შევეცდებით, კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით, თავების მიხედვით, დავასაბუთოთ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით აფხაზური მხარის მტკიცებულებათა სიყალბე და არაობიექტურობა.

I. შესავალთან ("მომავლის გასაღები") დაკავშირებული მოსაზრებები:

დასაწყისშივე აფხაზური მხარე ტრადიციულად აგრძელებს "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის" ტერმინის დამკვიდრების მცდელობას, მაშინ როდესაც ეს კონფლიქტი ოფიციალურ საერთაშორისო დოკუმენტებში ყველგან ცალსახად იწოდება როგორც "კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო".

იქვე არის მცდელობა დამკვიდრდეს ტერმინი "ერთ დროს მტრულ სახელმწიფოებს" შორის კეთილშობილური ურთიერთობების განვითარების თაობაზე, რაც ძირშივე მტკნარ სიცრუეს წარმოადგენს და სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, აპრიორად წარმოაჩინოს აფხაზეთი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

II. ისტორიულ წინაპირობებთან დაკავშირებით

ქართულ-აფხაზური (აფსურური) ურთიერთობები ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მრავალ საუკუნეს ითვლის. მან მნიშვნელოვნად განაპირობა, ურთულესი ისტორიული კატაკლიზმების მიუხედავად, ამ ორი ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნება. ისტორიამ შემოინახა ქართველთა და აფხაზთა მიერ დამკვიდრებული წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის არა ერთი ფაქტი.

ამ ფონზე ე.წ. ისტორიის ფოკუსირება გასული საუკუნის კომუნისტური მმართველობის პერიოდზე და განსაკუთრებით, სტალინის ფენომენზე (მისი ეთნიკური წარმომავლობიდან გამომდინარე), ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მართლაც რომ ვთქვათ, პრიმიტიულია, ვინაიდან სტალინიზმი და, მით უფრო კომუნისტური ტოტალიტარიზმი არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო ქართული ფენომენი. კომუნისტური იდეოლოგიის ყველაზე თავგამოდებული დამცველები გასული საუკუნის მიწურულამდე იყვნენ თვით აფხაზ სეპარატისტთა ელიტის წარმომადგენლები, რომლებიც ბოლომდე იბრძოდნენ სსრკ-სა და კომუნისტური რეჟიმის შესანარჩუნებლად.

თვით კომუნისტური მმართველობის პერიოდშიც კი აფხაზური საზოგადოების მიმართ საქართველოში არ გატარებულა დისკრიმინაციული ხასიათის ღონისძიება, თუ არ ჩავთვლით 1937 წლის ტრაგიკულ მოვლენებს, რომლის დროსაც რეპრესირებულ იქნა აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. მაგრამ ეუჭველია ის, რომ ეს არ იყო წმინდა ქართული მოვლენა და ოცდაათიან წლებში არანაკლებ, დაზარალებულ ქართული საზოგადოებაც. მით უფრო, რომ ფანტაზიის სფეროდან არის აღებული უაპელაციო "მტკიცებულებანი" აფხაზური მოსახლეობის რაოდენობის ხელოვნური შემცირების, აფხაზეთის ტოპონომიკის

შეცვლის, აფხაზური სახელმწიფოებრიობის ტრანსფორმირებისა და, განსაკუთრებით, აფხაზი ერის ასიმილირების თაობაზე.

ა) ისტორიული ექსკურსი

ღრმა მეცნიერულ დონეზე არის შესწავლილი და, არამართო ქართველი მეცნიერების მიერ, აფხაზეთის ისტორიული მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობა, აფხაზეთის ტოპონიმია, ჰიდრონიმი, მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვა. ყოველივე ამის შედეგად ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ:

1. XVII საუკუნემდე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ გვხვდება არც ერთი ადიღურ-ჩერქეზულ-აფხაზურ-აფსუური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი. ყველა მანამდელი ტოპონიმი არის მხოლოდ ქართველური, ძირითადად, ლაზურ-მეგრულ-სვანური. ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ზოგიერთი ტოპონიმი თუ ჰიდრონიმი, რომელიც ადრე ადიღურ-ჩერქეზული ეგონათ (სუფსა, მალთაყვა, და სხვა), აღმოჩნდა ქართველური. აფხაზურ-აზაზური ტოპონიმები (ფსოუ, ფსინცხა, აზჟუა და ა.შ.) ჩნდებიან მხოლოდ XVI - XVII საუკუნეების შემდეგ. ასე მაგალითად, მდინარე კოდონსა და ღალიძგას შუა მდებარე ტერიტორიას XVIII საუკუნემდე "შუა სოფელი" ერქვა. შემდგომ მას "აზჟუა" ეწოდა, რაც აფსურად აგრეთვე "შუა სოფელს" ("შუა ქვეყანას") ნიშნავს.

I საუკუნიდან XVII საუკუნემდე არსებობს 15-მდე აფხაზეთის ისტორიული რუკა, რომელთაგან აფხაზ მკვლევართა ნაშრომებში არც ერთი არ არის შეტანილი, რადგანაც ისინი მათ ხელს არ აძლევდა. ამ რუკებზე ყველა გეოგრაფიული სახელი ქართველურია.

2. XIX საუკუნემდე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ყველა ძეგლი ქართულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოხუმის ციხის გალავანს, რომელიც თურქების მიერაა აშენებული. არაქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლი XIX საუკუნემდე აფხაზეთში არ არსებობს. ამ ძეგლებს ამშვენებს ქართული ეპიგრაფიკა.

3. VIII საუკუნიდან აფხაზეთის ყველა მეფე-მთავარი არა მართო ქართული ორიენტაციისაა, არამედ ეთნიკურადაც ქართული წარმოშობის. ისინი წარმოსდგებიან ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა წოდებიდან ან ადგილობრივი მარუშინთა, შაელიანთა, დადიანთა და შარვაშიძეთა საგვარეულოებიდან.

4. XVII საუკუნემდე (უფრო ზუსტად 1621 წლამდე) აფხაზეთის მოსახლეობა არის სუფთა ქართული და მათში არ უწყვეტია არც ერთი ჩრდილოკავკასიური გვარის წარმომადგენელი. ეს დასტურდება ბიჭვინთის დიდი იადგარის, ბიჭვინთის დიდი დავთარის, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და სოულთა მატინეების შესწავლის შედეგად.

5. თუ XVII საუკუნემდე აფხაზეთის მოსახლეობა აბსოლუტურად ქართულია (მეგრულ-ლაზური), ამჟამად აფხაზთა (აფსუათა) დაახლოებით 80% ქართულ გვარებს ატარებს და მოგვარეები ჰყავთ ქართველთა შორის, ხოლო 12-13% ჩრდილოკავკასიური წარმოშობისაა.

ბ) საბჭოთა ხელისუფლების წლები და ე. წ. საქართველოს ასიმილაციური პოლიტიკა აფხაზეთში

1989 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრებ აფხაზთა მხოლოდ 2, 4% ფლობდა ქართულ ენას, რუსულს კი - 80%, ხოლო თვით აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზთაგან ქართულს ფლობდა მხოლოდ 1,6%, რუსულს - 81, 5%. გარდა ამისა, 1886 წლიდან 1989 წლამდე აფხაზეთში რუსული მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა თითქმის 70-ჯერ (1216-დან 74 914 ადამიანამდე), სომხურის - 70-ზე მეტჯერ (1 090-დან 76 541-მდე).

საინტერესოა, აღნიშნულ ფონზე, რატომ უნდა იწვევდეს გაკვირვებას ის გარემოება, რომ ქართული მოსახლეობა თავის სამშობლოში - აფხაზეთში გაიზარდა 3,5-ჯერ. და კიდევ. 1886 წელს ქ. სოხუმში ცხოვრობდა 3 აფხაზი (ერთი მამაკაცი და 2 ქალი) და 3 662 ქართველი, ხოლო 1989 წელს - 14 922 აფხაზი და 49 460 ქართველი. იმავე 1886 წელს გუდაუთაში ცხოვრობდა 184 აფხაზი და 601 ქართველი, ხოლო 1989 წელს - 7138 აფხაზი და 1944 ქართველი. ოჩამჩირეში 1886 წელს არ ცხოვრობდა არც ერთი აფხაზი, ქართველთა რაოდენობა კი შეადგენდა 515 სულს. 1989 წელს კი - 3 664 აფხაზსა და 11 6888 ქართველს. აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წილის მუდმივ ზრდას ჰქონდა ადგილი ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებში 1959-1989 წლებში: სოხუმში - 5, 6%-დან 12, 5%-მდე, ტყვარჩელში - 19, 9%-დან 43, 3%-მდე, . გაგრამში - 3,3%-დან 11,25-მდე. ეს ციფრები რამდენჯერმე აღემატებიან აფხაზეთის ქალაქებში ქართული მოსახლეობის რაოდენობის ზრდის მაჩვენებლებს.

აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილ გეგმაში კვლავ აქვს ადგილი ქართული მხარის დადანაშაულებას აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემების ხელოვნურ შემცირებაში, რაც ასევე არა თუ არ შეესაბამება სინამდვილეს, არამედ, ფაქტობრივად, საქმე პირიქით არის. აღნიშნულს ადასტურებდა თვით ნესტორ ლაკობა, რომელიც მიუთითებდა, რომ 1926 წლის აღწერის დროს "რამდენიმე ათასმა ადამიანმა თავისი თავი აფხაზურ ეროვნებას მიაწერა, მაგრამ მათი ენა არა აფხაზური, არამედ მეგრულია.". აღსანიშნავია, რომ აფხაზი ავტორები, როდესაც ეხებოდნენ დემოგრაფიის საკითხებს, წინასწარი განზრახვით ჭეშმარიტების გაყალბებით, სამურზაყანოს მცხოვრებ მეგრელებს (ე. ი. ქართველებს)

სისტემატურად მიაწერდნენ აფხაზებს, რითაც მნიშვნელოვნად ზრდიდნენ ამ უკანასკნელთა ხვედრით წილს აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აფხაზური მხარის მიერ ქართული მხარისა და საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულება აფხაზეთის მოსახლეობის გენოციდში და სხვა უმძიმეს დანაშაულებებში მაშინ, როდესაც არსებობს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბულის ეუთოს სამიტების გადაწყვეტილებები, რომლებშიც ცალსახად არის დაფიქსირებული აფხაზეთში უპირატესად ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდა.

სეპარატისტებს "დაავიწყდათ", რომ ჯერ კიდევ 1993 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დააკისრა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას მთელი პასუხისმგებლობა არააფხაზი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული "ეთნიკური წმენდის გამო", ხოლო შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრების შემდგომ გაეროს მიერ აფხაზეთთან დაკავშირებით 1993 წლის 19 ოქტომბერს მიღებულ პირველსავე რეზოლუციაში ' 876 (1993) აღიარებულია რა საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, კვლავ არის დაგმოზილი აფხაზეთის მხარის მიერ 1993 წლის 27 ივლისს საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებს შორის მიღწეული შეთანხმების სერიოზული დარღვევა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის შემდგომი ქმედებები. ამავე რეზოლუციაში არის დაგმოზილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობა.

მოგვიანებით, დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის გაეროს ქვეკომიტეტის 1994 წლის 6 ივლისის სამუშაო დოკუმენტში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ "საფრთხე, რომელიც შეექმნა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აფხაზეთში, ხასიათდება აგრეთვე" ეთნიკური წმენდით".

საქართველოში ვეროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის მოხსენებაში ნათქვამია გალის რაიონში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თაობაზე, რომ "აფხაზი ხელისუფალნი განაგრძობენ იძულებითი ეთნიკური წმენდის პოლიტიკას, რათა არ დაუშვან მნიშვნელოვანი რეპარტიაცია გალის რაიონში და აფხაზეთის სხვა ადგილებში".

ასევე ვერ უძლებს კრიტიკას ქართული მხარის დადანაშაულება აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების დანგრევაში, რადგანაც აფხაზეთის მოსახლეობა თვითმხილველია იმისა, რომ ქალაქები სოხუმი, ვაგრა, ოჩამჩირე ჰაეროდან და ზღვიდან იბომბებოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების თვითმფრინავებიდან, სამხედრო გემებიდან და რეაქტიული საარტილერიო დანადგარებიდან რუსი სამხედრო სპეციალისტების მიერ აფხაზ სეპარატისტთა და დაქირავებულ ჩრდილო კავკასიელთა (რუსეთის მოქალაქეთა) ფიზიკური მონაწილეობით, რასაც შედეგად მოჰყვა მშვიდობიანი მოსახლეობის, მათ შორის ბავშვების, ქალებისა და მოხუცების, მსხვერპლი, უამრავი შენობა-ნაგებობის დანგრევა და გაჩანაგება.

ალბათ კიდევ დიდხანს დარჩება მოუპუშებელი ის ტრაგედია, რაც გადაიტანა ქართული სოფლების: კამანის, შრომის, კოჩარისა და განსაკუთრებით, ახალდაბის მოსახლეობამ. ასეპარატისტებისაგან განსხვავებით კი ქართულმა მხარემ იმისათვის, რათა არ დაეშვა მშვიდობიანი აფხაზი მოსახლეობის მსხვერპლი, თავი შეიკავა ფაქტიურად დაუცველი ქ. ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონის ტრადიციული მრავალკომლიანი აფხაზური სოფლების კვიტოულის (კუტოლი), ჭლოუს და სხვათა აღებისაგან. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული მხარე არც აპირებს მოიხსნას თავისი წილი პასუხისმგებლობისა იმ ცალკეულ დანაშაულებებზე, რომლებიც ჩადენილ იქნა ქართული შეარაღებული ფორმირებების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მასშტაბებით ეს დანაშაულები ვერ შეედრება იმ საზარელ ქმედებებს, რაც ჩადენილ იქნა სეპარატისტთა მხრიდან ქართული მოსახლეობისა და აფხაზეთში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ.

ფაქტია, რომ სეპარატისტთა მხრიდან დარღვეული იქნა არაერთი სამშვიდობო შეთანხმება (მათ შორის 1992 წლის მოსკოვის 3 სექტემბრის და სოჭის 1993 წლის 27 ივლისის), რამაც აფხაზეთის მოსახლეობას უდიდესი ტრაგედია მიაყენა და რომლის შედეგების გამოსწორებას მხარეთა ძალისხმევებისა და ინტენსიური საერთაშორისო დახმარების გაწევის შემთხვევაშიც ათეულობით წელი დასჭირდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სეპარატისტთა მხრიდან საქართველოს მიმართ ბოდიშის მოხდის მოთხოვნის წაყენება არა მარტო ლოგიკურ აზრსაა მოკლებული, არამედ ცინიკურიცაა და მის ავტორთა "მდიდარ ფანტაზიაზე" და რეალობის არაადეკვატურ აღქმაზე მიუთითებს.

აღნიშნულ თავში აფხაზური მხარე ცდილობს წარმოაჩინოს საქმე ისე, თითქოს 1990 წლის 25 აგვისტოს კანონიერ საფუძველზე იქნა მიღებული დეკლარაცია აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო სუვერენიტეტისა და დადგენილება აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი განატიების შესახებ, რაც ჭეშმარიტებას არ შეეფარდება.

სინამდვილეში კი 1990 წლის 25 აგვისტოს ჩატარდა არა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია, არამედ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა აფხაზური ნაწილის შეკრება, რომელსაც დაესწრო უმაღლესი საბჭოს 138 წევრიდან მხოლოდ 68 დეპუტატი.

აღნიშნული შეკრების მომზადების წინაპერიოდში დეპუტატებზე ხორციელდებოდა უხეში ზეწოლა (გერძული წარმოშობის დეპუტატი კ. ფეტიზოვი წინასწარ იქნა იზოლირებული და ძალის გამოყენებით მიყვანილი ამ შეკრებაზე. კენჭისყრაში მონაწილეობის მიუღებლობის მიუხედავად, ხმათა დათვლისას ეს ფაქტი არ იქნა გათვალისწინებული. კენჭისყრაში არ მიუღია მონაწილეობა არც ეთნიკურად რუს დეპუტატ ნ. კუზნეცოვას, რომელიც ასევე ძალით იქნა მიყვანილი "სესიაზე". დაფხაზი ეროვნების დეპუტატმა ე. ქვანანძიამ ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, მაგრამ არც ეს გარემოება იქნა გათვალისწინებული. ქვორუმის დასაფიქსირებლად შეკრებაზე საკაცით იქნა შემოყვანილი მძიმედ ავადმყოფი დეპუტატი, მსახიობი ა. აგრბა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესების გამო უმაღლეს იქნა გაყვანილი დარბაზიდან.

ასე, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს "სესიამ", რომელსაც არ ესწრებოდნენ ქართველი და სხვა ეროვნების დეპუტატები, რეგლამენტის უხეში დარღვევით ვოლუნტარისტულად მიიღო დადგენილება "აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ" და დეკლარაცია "აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ".

26 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილებით "აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის გადაწყვეტილების შესახებ" ზემოაღნიშნული დოკუმენტები გაუქმდა.

ეს დოკუმენტები გააუქმა აგრეთვე ქართველ დეპუტატთა ინიციატივით 31 აგვისტოს მოწვეულმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საგანგებო შეკრებამ, რომელსაც 138-დან დაესწრო 72 დეპუტატი (შემადგენლობის 50%-ზე მეტი).

ამგვარად, აფხაზური მხარის აპელირება 1990 წლის 25 აგვისტოს "სესიის" გადაწყვეტილებებზე და იმ ფაქტზე, რომ დეკლარაციის მიღების მომენტში უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც აფხაზები, ასევე ქართველები, ცინიკური და არასწორი ბეღია.

ასევე ჭეშმარიტებასაა მოკლებული აფხაზური მხარის მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ თითქოს 1990 წლის 17 მარტს ჩატარებულ საკავშირო რეფერენდუმში სსრკ-ს შენარჩუნებას ხმა მისცა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობამ.

რეფერენდუმის შედეგების ფალსიფიცირებამ მოსკოვს შეუქმნა იმის საფუძველი, დაფიქსირებულიყო აზრი, თითქოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სსრკ-ს შენარჩუნებას უჭერდა მხარს (რეფერენდუმში მონაწილეთა 50,3% მომხრეთა ხმებით). სინამდვილეში, მოსალოდნელი შედეგების ბოლომდე გაუთვლელად, გალის რაიონის ხელმძღვანელობამ ზოიკოტი გამოუცხადა რეფერენდუმს, რითაც ისარგებლა სეპარატისტულმა ხელისუფლებამ და აღნიშნული რაიონის 52 ათას ამომრჩეველს არ მიეცა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა წინასწარ ცნობილი უარყოფითი დამოკიდებულება სსრკ-ს შენარჩუნების მიმართ (ეს ერთგვარი ტაქტიკური შეცდომა იყო საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების). ამ მანიპულაციით ხელოვნურად გაიზარდა სსრკ-ს შენარჩუნების მომხრეთა ხმების ხვედრითი წილი. ქართული მხარის ოფიციალური პროტესტის მიუხედავად, სსრკ-ს შესაბამისი ინსტანციების მხრიდან არავითარი რეაგირება არ ჰქონდა ადგილი და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგანაც ყოველივე ეს საკავშირო ცენტრის ინტერესებში შედიოდა.

22 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ აფხაზეთში საკავშირო რეფერენდუმის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

31 მარტს საქართველოში ჩატარებულმა რეფერენდუმმა დაადასტურა ქართველი ერის, მთელი საქართველოს მოსახლეობის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.

მიუხედავად სეპარატისტების მხრიდან ზოიკოტირებისა, აღნიშნული რეფერენდუმი აფხაზეთში მაინც ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 61,27%-მა. რეფერენდუმის მონაწილეთა 97,73%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას, რაც შეადგენდა აფხაზეთის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 59,84%-ს.

ზემოაღნიშნული ნათლად უჩვენებს აფხაზური მხარის არაგულწრფელობას, როდესაც ის აცხადებს, რომ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში აფხაზეთს მონაწილეობა არ მიუღია და იმ მომენტიდან, ყოფილი საქართველოს სსრ-ს ტერიტორიაზე შეიქმნა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო: საქართველო, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობისა და სსრკ-დან გამოსვლის თაობაზე და, აფხაზეთი, რომელიც დარჩა საბჭოთა კავშირის სუბიექტად.

აფხაზური მხარე ცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოში 31 მარტს რეფერენდუმის ჩატარებისა და 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ შეწყვეტილ იქნა სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობანი აფხაზეთსა და საქართველოს შორის, რაც ასევე სიყალბეა და არ შეესაბამება სინამდვილეს.

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ-ს, საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციების თანახმად, აფხაზეთს არ ჰქონდა უფლება დამოუკიდებლად გადაეწყვიტა, დარჩენილიყო თუ არა სსრკ-ს შემადგენლობაში, თუ გამოსულიყო.

1991 წლის 3 აპრილის კანონი, რომელსაც იმომებს აფხაზური მხარე, და რომელმაც განსაზღვრა ეს პროცედურა, ეწინააღმდეგებოდა სსრკ-ს იმ დროისთვის მოქმედ კონსტიტუციას, რის გამოც ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციამ უარყო სსრკ-ს ემალღეს საბჭოში მოკალათებულ მხანაზმელთა მიერ მომზადებული ეს ნორმატიული აქტი. ამიტომაც, მას მიღების დღიდანვე არ გააჩნდა კანონის ძალა.

აფხაზეთის ასსრ ერთდროულად ვერ იქნებოდა ორი სახელმწიფოს - საქართველოსა და სსრკ-ს შემადგენლობაში. ის იმყოფებოდა საქართველოს შემადგენლობაში 1991 წლის 21 დეკემბერს სსრკ-ს დაშლის შემდგომაც.

გარდა ამისა, აფხაზეთის ასსრ საარჩევნო კანონი შემუშავებულ იქნა თბილისის მონაწილეობით და შემდგომ დაამტკიცა საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ.

ასევე არ შეიძლება ბოლომდე იქნეს გაზიარებული აფხაზური მხარის მტკიცებულება საქართველოს მიერ აფხაზეთის ხალხის წინააღმდეგ 1992 წლის 14 აგვისტოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

საქართველოს არ გამოუცხადებია და არც დაუწყია აფხაზეთში საომარი მოქმედებები, არ ჩაუტარებია საყოველთაო მობილიზაცია. დადგენილება აფხაზეთში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საქართველოს პარლამენტმა მიიღო მხოლოდ 1993 წლის 8 ივლისს.

რაც შეეხება აფხაზური მხარის მიერ აფხაზეთში 1999 წელს დამოუკიდებლობის თაობაზე ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების ცნობის მოთხოვნას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიიდან, მისი მოსახლეობის 2/3-ის დეცნილობის პირობებში ჩატარებულ არც ერთ არჩევნებსა და არც აღნიშნულ რეფერენდუმს სრულიად სამართლიანად გავრო, ევროპული სტრუქტურები და არც ერთი სახელმწიფო ლეგიტიმურად არ სცნობს. იქნებ არც ღირდა ამაზე ყურადღების შეჩერება, რომ არა აფხაზური მხარის განცხადება იმის თაობაზე, რომ ის მზადაა აწარმოოს ცივილიზირებული მოლაპარაკებები ყველა საკითხზე, გარდა აფხაზეთის სტატუსისა, რომელიც მათ ზემოაღნიშნული რეფერენდუმის საფუძველზე უკვე გადაწყვეტილად მიაჩნიათ.

რეალურად, ამ დებულებისადმი აფხაზური მხარის შემდგომი ერთგულების პირობებში მათთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს ყოველგვარი საფუძველი ეცლება და ის ფაქტიურად აზრს ჰკარგავს.

ეს მდომარეობა უტყუარი დასტურია რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო დომინანტობისა აფხაზეთში.

III. დარეგულირების ახალ ეტაპთან - საფუძველთან დაკავშირებით

გადაფასება

მუხლი მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან აფხაზი ხალხისათვის ზოდების მოხდას მის მიმართ გატარებული ე. წ. სახელმწიფო პოლიტიკის - ასიმილაციის, ომისა და იზოლაციის გამო.

აღნიშნული მოთხოვნა მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს (რა თქა უნდა, აფხაზური მხარის მიერ საკუთარი, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომების აღიარებისა და გონიერულ კომპრომისებზე წამოსვლისათვის მზადყოფნის დეკლარირების შემთხვევაში, ქართული მხარეც მზად იქნებოდა ელიანებინა და, თუ გნებავთ, მოენანიებინა კიდევ საკუთარი შეცდომები). ამასთან ერთად, ADსაქართველო, მიუხედავად აფხაზური მხარის პოზიციისა, დღესაც გამოხატავს მზადყოფნას გამოაცხადოს სისხლის სამართლის დევნა აფხაზეთის კონფლიქტში ქართული მხარის კონკრეტულ დამნაშავე პირებზე და ეს მზადყოფნა შესაბამისად, ასახულია ქართულ კანონმდებლობაშიც. აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ქართული მხრიდან არ ჰქონია ადგილი აფხაზი მოსახლეობის მასობრივ იძულებით აყრას თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და ეთნიკურ წმენდას.

ბლიკადა

აფხაზური მხარე აყენებს აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური და ინფორმაციული ბლოკადის შეწყვეტის საკითხს და სვამს იმ ქვეყნების გარეული პასუხისმგებლობის საკითხს, რომელთა მონაწილეობითაც ის იქნა მიღებული.

ამ თავში საქართველო კვლავ არის დადანაშაუებული აფხაზეთში 1992-1993 წლებში ომის გაჩაღებაში და მისთვის 13 მილიარდამდე ეკონომიკური ზარალის მიყენებაში. აღნიშნულ მოთხოვნაში დაუფარავად ჩანს რუსული ხელწერა. ეს არის პასუხი "კონფლიქტებთან დაკავშირებით ქვეყნისათვის

მიყენებული ზარალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე" და "კონფლიქტებთან დაკავშირებით ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად საქმეების მომზადების მიზნით იურიდიული ფირმის შესარჩევად საერთაშორისო ტენდერის გამოცხადების შესახებ" საქართველოს პარლამენტის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის ინიციატივით მიღებულ დადგენილებებზე, აგრეთვე პარლამენტის აღნიშნულ სხდომაზე გაუქმებული ზარალის სავარაუდო ციფრთან - 15 მილიარდი დოლართან დაკავშირებით.

აქვე აფხაზური მხარე ეჭვქვეშ აყენებს აფხაზეთში უპირატესად ქართული მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებ ეუთოს ლისაბონის (1996 წლის 1 დეკემბერი) სამიტზე მიღებული რეზოლუციის ობიექტურობას და ავიწყდება, რომ მანამდე ანალოგიური შეფასება მიცემულ იქნა ბუდაპეშტის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის (1994 წლის 6 დეკემბერი) და მოგვიანებით, ეუთოს სტამბულის სამიტის (1999 წლის 17-18 ნოემბერი) მიერ. აღნიშნულ შეფასებებზე არაერთგზის არის გაკეთებული მინიშნებები გაეროს რეზოლუციებშიც. ცნობაში ზემოთ ვახსენეთ 1993 წლის ოქტომბერში რუსეთის მთავრობის მიერ აფხაზური მხარისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება აფხაზეთში არააფხაზი მოსახლეობის "ეთნიკური წმენდის" განხორციელებისათვის.

IV. მეორე ეტაპთან (უსაფრთხოება "ნდობის განმტკიცების პრაქტიკული ნაბიჯები") დაკავშირებული საკითხები

აღნიშნული თავიც არაკონსტრუქციულია და შეიცავს საქართველოს მილიტარიზაციის ბრალდებას. მასში იკვეთება აფხაზური მხარის შემოფოთება სამშვიდობო პროცესებიდან რუსეთის მხარის შესაძლო გამოღვევისა და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის გამო.

აფხაზური მხარე ასევე ულტიმატურ ფორმაში აყენებს საკითხს ქართული მხარის წინაშე გალის რაიონში აფხაზეთის მოსახლეობაზე ძალადობის შეწყვეტისა და თავისი პასუხისმგებლობის ზონაში აუცილებელი პირობების შექმნისათვის, რათა შეუძლებელი გახდეს "დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების" საქმიანობა. ცხადია, რომ ამ ქმედებებში ცალსახად არის დადანაშაულებული ქართული მხარე და არაფერია ნთქვაში აღნიშნულ ზონაში აფხაზურ უკანონო შეარაღებულ ფორმირებათა განუკითხავ თარეშსა და აფხაზური მხარის წილ პასუხისმგებლობაზე.

ამასთან ერთად, არაფერია ნთქვაში კონფლიქტის ზონაში შერეული ქართულ-აფხაზური საპოლიციო ნაწილების, გაეროს სამოქალაქო კომპონენტის შექმნაზე.

აღნიშნული პრობლემა ჩანაცვლებულია გაეროს მხრიდან აფხაზურ და ქართულ სამართალდამცველთა ტექნიკური აღჭურვილობის ხელშეწყობის საკითხებით.

პოლიტიკური პროცესი

აფხაზური მხარის აზრით, საჭიროა სამშვიდობო პროცესის ახალ, პროდუქტიულ ეტაპზე გადაყვანა, რომელსაც დასაბამი აფხაზეთისა და საქართველოს ლიდერების პირველი შეხვედრის ჩატარებამ უნდა მისცეს.

შეხვედრაზე მხარეები ღიად განაცხადებენ თავიანთი მისწრაფებების შესახებ კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოგვარების თაობაზე და საერთაშორისო გარანტიებით ხელს მოაწივრენ სამშვიდობო შეთანხმებაზე, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ნებისმიერი სახის ზეწოლის, რაიმე მუქარის გამოყენებაზე უარი.

მათი აზრით, არზიტრის როლი საერთაშორისო თანამეგობრობამ, კერძოდ, გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა შეასრულოს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტის განუახლებლობას, უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების ზომების განხორციელებას. ამასთან, მშვიდობის შენარჩუნების პირობები და მათზე მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხები მკაფიოდ უნდა იყოს განყრდილი გაეროს დოკუმენტებში და მან უნდა შეაჩეროს მხარეები შეიარაღებული კონფრონტაციისაგან ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულს გაეროსაგან აფხაზური მხარე მოითხოვს იმ პირობებში, როდესაც თვითონ არ სცნობს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით გაეროს სამ ათეულზე მეტ რეზოლუციას და მასში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

პოლიტიკური პროცესის განვითარების თვალსაზრისით შემდგომი ნაბიჯია "ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ გაფართოებული ხელშეკრულების" გაფორმება, რომელშიც აფხაზეთისა და საქართველოს გარდა მონაწილეობას მიიღებენ: "სომხეთი, რუსეთი, თურქეთი, სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი, აზერბაიჯანი და ევროკავშირი, როგორც ფასილიტატორი". გეგმის აღნიშნულ ნაწილში საუბარია რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის ახალ მოდელზე, რომელიც, ჩვენი აზრით, ძირითადად პოლიტიკურ შეფერვლობას ატარებს და არის რუსული მხარის შეპარვითი მცდელობა სუამის საწინააღმდეგოდ მიმართული (ალბათ ამის გამო არ არიან სიაში უკრაინა და მოლდოვა, აგრეთვე შავი ზღვისპირეთის სხვა სახელმწიფოები - რუმინეთი, ბულგარეთი).

საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნა მისი სრული აბსურდულობის გამო, კომენტარებს არ საჭიროებს

ლტოლვილთა დაბრუნება.

აფხაზურმა მხარემ განაცხადა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველოს მიერ დევნილთა დაბრუნების წარმოდგენილი გეგმის მხარდასაჭერად თავისი მზადყოფნის შესახებ. ამასთან, დოკუმენტში საუბარია, დევნილთა დაბრუნებაზე მხოლოდ გალის რაიონში (არ არის მითითებული, რომ ეს იქნება დაბრუნების პირველი ეტაპი).

გეგმაში არ არის ასახული ისეთი საკითხები, როგორცაა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლებების გარანტიები, აფხაზეთში უკანასკნელ წლებში ჩატარებული ე. ი. პრევატიზაციის პროცესის შედეგები, ასევე ლტოლვილთა და დევნილთა უსაფრთხოება, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნება. დამაფიქრებელია აფხაზური მხარის მიერ ლტოლვილთა დაბრუნების ნეგატიურ შედეგებზე საუბარი.

ეკონომიკური თანამშრომლობა

დოკუმენტში აფხაზური მხარის მიერ დაფიქსირებულია სოჭის 2003 წლის შეთანხმებებით გათვალისწინებული ნდობის აღდგენის ღონისძიებათა რეალიზაციისათვის მზადყოფნა ლტოლვილთა დაბრუნების, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და ენგურჰესის რეაბილიტაციის საკითხებში. (როგორც ცნობილია, სოჭის შეთანხმებაში საუბარია ლტოლვილთა დაბრუნებაზე არა მხოლოდ გალის რაიონში, არამედ, პირველ რიგში გალის რაიონში, რაც გულისხმობს დაბრუნების მომდევნო ეტაპებსაც).

აფხაზური მხარე მოუწოდებს ქართულ მხარეს უარი თქვას ბევრი, წმინდა ეკონომიკური საკითხის პოლიტიზირებისაგან, მათ შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პროექტთან დაკავშირებით.

დოკუმენტის თანახმად, აფხაზეთი უკვე 13 წელია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დამოუკიდებლად აწვდიან "დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემას, საბაზრო ეკონომიკას, სამართლებრივ ბაზას, დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას, სამოქალაქო საზოგადოებას, ადამიანის უფლებებს. მათი მტკიცებით, "დღეს აფხაზეთი - ეს არის სახელმწიფო განვითარების მდგრადი მაჩვენებლებით და იგი წარმოადგენს რეგიონში სტაბილურობის ფაქტორს, კავკასიაში კომუნიკაციების აღდგენის დამაკავშირებელ რგოლს, რაც შედის არა მარტო აფხაზეთის, არამედ, საქართველოს, რუსეთისა და ევროკავშირის ინტერესებში".

სეპარატისტთა გეგმის მიხედვით, თუ საქართველო დაძლევს ფსიქოლოგიურ ბარიერს და დათანხმდება აფხაზეთის დამოუკიდებლობას, აფხაზეთი, თავის მხრივ, მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოსთან ოთხ პრიორიტეტულ სფეროში, - ეკონომიკა, უსაფრთხოება, ენერჯეტიკა, კულტურა და მეცნიერება, - ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები აფხაზური მხარის მიერ თითქმის მთლიანად არის პოლიტიზირებული და მიხმულია აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხთან. კონტექსტიდან გამოყოფილია მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხები - ენგურჰესის რეაბილიტაცია და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა.

ეკონომიკური თანამშრომლობა აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილია ევროკავშირის გაფართოებული სამეზობლო სტრატეგიის ჩარჩოებში, რომელშიც აფხაზეთი სრულყოფილად წარმოაჩენს თავის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო პოტენციალს.

ეკონომიკური თანამშრომლობის წარმოდგენილი გეგმა, ნდობის განმტკიცების კომპონენტად მისი აღიარების მიუხედავად, ძირითადად დეკლარატიული ხასიათის მატარებელია. იგი არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ წინადადებას ეკონომიკის რომელიმე დარგის შესახებ.. აღნიშნულ ეტაპზე მათი უმთავრესი ამოცანა ამოსკოვის 1996 წლის 19 იანვრის სამიტის გადაწყვეტილების თანახმად აფხაზეთისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნა.

წარმოდგენილ სამშვიდობო გეგმაში აფხაზეთის მხარე ადანაშაულებს ქართულ მხარეს საერთაშორისო თანამშრომლობის მეცდომებაში შეყვანაში. კერძოდ, განიხილავს რა საკუთარ როლს შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში, საქართველო მის მიერ გაკეთებულ ეკონომიკური პროგნოზებში მოიცავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რაც თითქოსდა არსებულ რეალობას არ შეესაბამება. ამით საქართველო ქმნის ნდობის აღდგენის განმტკიცებისათვის და მთლიანობაში მოლაპარაკებათა პროცესისათვის მიუღებელ პირობებს და ხელს უწყობს "რეგიონის ყველა მეზობელს შორის გრძელვადიანი ურთიერთობების მცდარი სტრატეგიის ჩამოყალიბებას".

მოლაპარაკებათა პროცესი და მონაწილენი

გეგმის ეპილოგში აფხაზური მხარე კვლავ სვამს გაეროს უშიშროების საბჭოს, რუსეთის ფედერაციისა და გენერალური მდივის მეგობარი ოქცენების წინაშე საკითხს, რომ, როგორც კონფლიქტის მხარე, ის მიწვეულ იქნეს უშიშროების საბჭოს მომავალ სხდომაზე და მიეცეს საშუალება მიმდინარე მოვლენებზე უფრო ობიექტური სურათის მისაცემად.

დასკვნა:

წარმოდგენილ დოკუმენტს, ჩვენი აზრით, გაცილებით მეტად შეესაბამება სახელწოდება "აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციის" პროექტი, ვიდრე "ქართულ – აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების სრულმასშტაბიანი გეგმა". ამასთან, რაც ყველაზე მეტად არის საინტერესო და დამაინტრიგებელი, აფხაზურ მხარეს სურს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევა ქართული მხარის "განსაკუთრებული მონდომებისა და სიბეჯითის" ხარჯზე. ცხადია, რომ წარმოდგენილია პოლიტიკური აბსურდის უნიკალური მაგალითი.

მოწოდებული დოკუმენტი აღძრავს სერიოზულ ეჭვებს იმის თაობაზე, რომ ის შედგენილია რუსეთის სპეცსამსახურებში და მისი მთავარი მიზანია, მიახლოდეს კოსოვოს მოდელი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესს. ამასთან, რუსეთის მხარე შეგნებულად "ვერ ამჩნევს განსხვავებას" კოსოვოსა და აფხაზეთში მომხდარ მოვლენებს შორის. კერძოდ, კოსოვოში მოხდა სერბების მიერ ალბანელთა ეთნოწმენდა, აფხაზეთში – ქართველთა, ალბანეთში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ ალბანელები, აფხაზეთში – ქართველები, კოსოვოში არჩევნები ჩატარდა მოსახლეობის აბოლუტური უმრავლესობის მონაწილობით, აფხაზეთში ჩატარებული არც ერთი არჩევნები და ე.წ. რეფერენდუმი არ სცნო სერთაშორისო თანამეგობრობამ ლეგიტიმურად, მათ შორის თვით რუსეთმაც, ვინაიდან მასში მონაწილეობა არ მიუღია დევნილობაში მყოფ აფხაზეთის მოსახლეობის 2/3-ს.

აფხაზური მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არაკონსტრუქციულია თავისი შინაარსით, მიდგომებით, შეფასებებით. მასში არ არის ქართული მხარისათვის მისაღები არც ერთი კონკრეტული წინადადება. სამშვიდობო გეგმად წოდებულ დოკუმენტში არ ჩანს გონივრულ კომპრომისებზე წასვლისა და სერიოზული მოლაპარაკებებისათვის აფხაზური მხარის მზადყოფნა. ამდენად, დაუშვებელია ამ დოკუმენტის განხილვაც კი, არა თუ მისი სამშვიდობო პროცესში საფუძვლად გამოყენება.